NEWSLETTER (June, 2015)

პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკა 2014 წელს

IDFI დაინტერესდა, რამდენად აისახა 2015 წლის პირველ კვარტალში სამინისტროების თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურებაზე ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკა. კვლევაში პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკა 2014 წელს საუბარია აღნიშნულ პრაქტიკაზე როგორც სამინისტროებში, ასევე სსიპ-ებში

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის სამართლებრივი ანალიზი

IDFI-მ მოამზადა “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის სამართლებრივი ანალიზი. ინსტიტუტი მიესალმება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით განსაზღვრულ ცვლილებებს, რომლებიც უმეტესწილად, აუმჯობესებს საჯარო სამსახურის არსებულ რეგულირებას და სისტემას საქართველოში.

ფარული მიყურადება საქართველოში: 2013-2015

IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა ფარული მიყურადებების მაჩვენებლების შესახებ საქართველოში 2013-2015 წლებში. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და წინ გადადგმული საჭირო ნაბიჯების მიუხედავად, როგორიცაა უკანონო მიყურადების დროებითი კომისიის შექმნა და მოსმენების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის წარდგენა, აღნიშნული საკითხის მიმართ ნდობა დაიკარგა ხელისუფლების წარმომადგენელთა კრიტიკული განცხადებების გამო.

ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრა საქართველოში

3-4 ივნისს საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open government Partnership – OGP) ევროპულ რეგიონულ შეხვედრას მასპინძლობდა. საქართველო მასპინძელ ქვეყანად მექსიკაში გამართულ OGP-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრის დროს აარჩიეს იმ წარმატებების გამო, რასაც მან ღია მმართველობის კუთხით ბოლო წლებში მიაღწია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ შორის იყო IDFI-ის დირექტორი, ღია მმართველობის პარტნიორობის ფორუმის თანა-თავმჯდომარე გიორგი კლდიაშვილი, რომელიც 4 ივნისს კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

რეგიონული კონფერენცია გახსნეს ირაკლი ღარიბაშვილმა, დავით უსუფაშვილმა, ნინო გვენეტაძემ, თეა წულუკიანმა და სხვებმა.

„ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრის მთავარი მიზანი იყო OGP-ის ფარგლებში მიღწეული შედეგებისა და შეძენილი გამოცდილების გაზიარება, ასევე სამთავრობო რეფორმატორთა ფართო ქსელის შექმნისთვის საფუძვლის ჩაყრა.

ამავე პერიოდში, OGP-ს ოფიციალურ ბლოგზე გიორგი კლდიაშვილის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა, სახელწოდებით: „ღია მმართველობის სახეები - გიორგი კლდიაშვილი“.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა

პროექტის საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა OpenData.ge-ს ფარგლებში IDFI-მ გამოითხოვა, გააანალიზა და გამოაქვეყნა სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია შემდეგ თემებზე: 2013-2015 წლებში ავღანეთში დაღუპული და დაჭრილი ქართველი სამხედროები, 2010-2015 წლებში საზღვარგარეთ დაკავებული და დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეები, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკა საქართველოში, საპატრულო პოლიციის მიერ დაჯარიმებულ პირთა სტატისტიკა (2012-2014)

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა

IDFI ახორციელებს პროექტს „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მონიტორინგი და მხარდაჭერა (2015)“.

ამ პროექტის ფარგლებში IDFI მონიტორინგს უწევს მოსახლეობის მზაობის პროცესს, საჭირო ტექნიკური მოწყობილობების ბაზარზე არსებულობას და სხვა.
მომზადდა საქართველოს მასშტაბით არსებული მაღაზიების სია, სადაც ციფრული საეთერო მაუწყებლობის მისაღებად განკუთვნილი რესივერები და „სეტ-ტოპ-ბოქსები“ იყიდება. გამოქვეყნდა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა რეგიონს ეტაპობრივად გაეთიშება ანალოგური სიგნალი.

ღია მმართველობის პარტნიორობა - საქართველო

საპარლამენტო ღიაობის საკითხთან დაკავშირებით IDFI-მ ჩაატარა გამოკითხვა „ღია პარლამენტის“ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ მოქალაქეთა პოზიციის დასაფიქსირებლად.
2015 წლის 7 მაისს გაიმართა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მეცამეტე შეხვედრა. სადაც განიხილეს OGP-ის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდა IDFI-ს დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი.
17 ივნისს შედგა საქართველოს პარლამენტის სარედაქციო ჯგუფის და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ყველა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია. მხარეები შეთანხმდნენ რეკომენდაციების ჩამონათვალზე და იმსჯელეს მათ განსახორციელებლად საჭირო დეტალებზე.

IDFI აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს ომბუდსმენის ანგარიშებში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოქვეყნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის მორიგი ანგარიში, სადაც არაერთხელ არის მოხსენიებული IDFI. კერძოდ, IDFI-ს დირექტორის გიორგი კლდიაშვილის უკანონოდ დაკავების ფაქტსი და ორგანიზაციის კვლევები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს მიერ IDFI-ის უფლების დარღვევისა და IDFI-ის დირექტორის გიორგი კლდიაშვილის უკანონოდ დაკავების საქმეებს მოიცავს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშიც.